

მდგრადი განვითარება

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მდგრადი განვითარება დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განხილვადი თემაა პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, მეცნიერების, მასწავლებლების, სტუდენტებისა თუ მოქალაქეთა წრეებში. მდგრადი განვითარების ცნება მართლაც რომ თანამედროვე საზოგადოების წამყვან იდეად იქცა.

მდგრადი განვითარების იდეა სათავეს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს. 1972 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტოკჰოლმის კონფერენციაზე აღნიშნულ იქნა, რომ შესაძლებელია ეკონომიკური განვითარება და ინდუსტრიალიზაცია გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე. მდგრადი განვითარების ცნებამ ფართო აღიარება 80-იანი წლების ბოლოს ჰპოვა, მას შემდეგ რაც 1987 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემო და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში “ჩვენი საერთო მომავალი”, რომელიც ასევე “ბრუნდენდის ანგარიშის” სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული ანგარიში მოუწოდებს მსოფლიოს გაანალიზოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დეგრადირების შედეგების ზემოქმედება ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და გადახედოს არსებული განვითარების ტენდენციებს. სწორედ ბრუნდენდის ანგარიშშია მოცემული მდგრადი განვითარების დღესაც ფართოდ მიღებული განმარტება: *“განვითარების ისეთ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს აწმყოს მოთხოვნილებებს, ისე რომ არ შეიზღუდოს მომავალი თაობის შესაძლებლობა თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად”*. 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე გარემო და განვითარება (რიო დე ჟანეირო, ბრაზილია) მიღებულ იქნა მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა – დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის, სადაც მოცემულია ეკონომიკისა და სოციალურ და ასევე, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მართვის სფეროში ღონისძიებათა გეგმა, რათა მიღწეულ იქნეს ყოველი მოსახლისთვის ცხოვრების გაუმჯობესებული სტანდარტები, ეკოსისტემების უკეთ დაცვა/მართვა და უფრო უსაფრთხო და წარმატებული მომავალი. აღნიშნული დოკუმენტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა, როგორც გლობალურ ასევე, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. 10 წლის შემდეგ, ქ. იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გამართულ მდგრადი განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის განხორციელების აუცილებლობას, შეფასდა მიღწეული შედეგები და დაიგეგმა ახალი სამოქმედო მიზნები მდგრადი განვითარების მიზნების უფრო ეფექტიანი განხორციელებისთვის.

საინტერესოა განვიხილოთ რა უღვეს საფუძვლად მდგრადი განვითარების იდეას და რაში მდგომარეობს ეს ცნება.

უდავოა, რომ ადამიანის არსებობა დამოკიდებულია ეკოსისტემების ფუნქციონირებასა და მათ მიერ შემოთავაზებულ სერვისებზე. ჩვენ გვჭირდება ნოყიერი ნიადაგი, რომ მოვიყვანოთ მოსავალი, სუფთა წყალი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ყოველდღიური ყოფისთვის და ბუნებისგან მიღებული ისეთი სერვისები როგორც არის მაგალითად, მცენარეების მიერ ჟანგბადის გამოყოფა ან რედუცენტი ბაქტერიების მიერ ორგანული ნარჩენების დაშლა. შესაბამისად, დღეს უკვე არავისთვის არის უცხო ის ფაქტი, რომ ეკონომიკური განვითარება და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა როგორც ამჟამინდელი ისე მომავალი თაობებისთვის შეუძლებელია ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადობის უზრუნველყოფის გარეშე. მდგრადი განვითარების ცნება

მოიაზრებს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სისტემებს შორის ურთიერთკავშირს და განიხილავს განვითარების ისეთ ფორმას, სადაც თანაბარი ყურადღება ეთმობა სამივე ამ სფეროს. მდგრადი განვითარების არსში იგულისხმება ცხოვრების დონის გაუმჯობესება ყველა მოსახლესთვის, ისე რომ არ დაირღვეს ბუნებრივი რესურსების თვითაღდგენის ციკლი და შესაბამისად, ეს რესურსები კვლავაც ხელმისაწვდომი იყოს მომავალი თაობებისთვის. მდგრადი განვითარება არის ცნება თანასწორობის გრძელვადიანი, შორს მჭვრეტელი ხედვისა და სისტემური აზროვნების შესახებ. მდგრადი განვითარების ცნებაში ხაზგასმულია თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი. სამართლიანობა ნიშნავს, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა თავისი კულტურული და სოციალური ფასეულობების გათვალისწინებით და ყოველმა ერმა პატივი უნდეს სცეს სხვა ერის განვითარების უფლებას. თანასწორობაში მოიაზრება, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მომავალი თაობების ინტერესები, რაც გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას რაც საშუალებას მისცემს მომავალ თაობებს იცხოვრონ და განვითარდნენ ჯანსაღ გარემოში და ხელი მიუწვდებოდეთ მათი განვითარებისათვის საჭირო რესურსებზე. რადგან არსებული ეკონომიკური და სახელმწიფო მართვის სისტემები ვერ უზრუნველყოფენ რესურსების ხელმისაწვდომობის თანასწორობას აუცილებელია ამ სისტემების გადახედვა.

აუცილებელია გვესმოდეს, რომ მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია არსებული მიდგომებისა და ტენდენციების შეცვლის გარეშე და სულ უფრო ცოტა დრო გვრჩება მდგრად სისტემაზე რაციონალური და შეუფერხებელი გადასვლისათვის. არსებული განვითარების ტენდენციის შედეგად დღეს უკვე სახეზეა მრავალი ეკოლოგიური პრობლემა: ტროპიკული ტყეების მასიური გაჩეხვა, სახეობების გადაშენება, ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცვლილება და სხვა. შესაბამისად, საჭიროა სწრაფი რეაგირება და ინოვაციური გზების მოძებნა რათა მოხდეს ინდივიდუალური ქცევისა თუ ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პოლიტიკის შეცვლა მდგრადი განვითარების პრინციპების დასანერგად და განსახორციელებლად. კერძოდ, კი მდგრადი განვითარების მიღწევა გულისხმობს რიგი ქმედებების ახლებური ხედვით განხორციელებას სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ დონეზე, როგორც წარმოებისა და მოხმარების არსებულ პრაქტიკაში, ასევე სათანადო სახელმწიფო მართვაში.

მდგრადი განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ექნება წარმოებაში ეფექტიანობის გაზრდასა და ნედლეულის ხელახალი გამოყენების დანერგვას. ეკო-ეფექტური საწარმოებისა და კომპანიების არსებობა შესაძლებელს გახდის ერთი მხრივ წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე კონკურენტუნარიანი ფასების ხარჯზე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ კი, გარემოზე უარყოფით ზემოქმედების შემცირებასა და ამავედროულად ნედლეულის ეკონომიურ გამოყენებას, ისე რომ არ დაირღვეს ეკოსისტემების ბუნებრივი წონასწორობა. თუმცა, შეიძლება გაჩნდეს კითხვა თუ რამდენად უნდა შევამციროთ ბუნებრივი რესურსების მოხმარება იმისთვის რომ შევინარჩუნოთ ეკოლოგიური წონასწორობა? დღეს, ფართოდ არის აღიარებული, რომ აუცილებელია ბუნებრივი რესურსების მოხმარების არსებული ტენდენციის განახევრება და დოვლათის გაორმაგება, რაც გულისხმობს რესურსების ნაყოფიერების (პროდუქტიულობის) ოთხჯერად გაზრდას. ეს ცნება ცნობილია როგორც

ე.წ. “ფაქტორი ოთხი”. აქვე აღსანიშნავია, რომ რადგან ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების მიერ ნედლეულის მოხმარება 5-ჯერ აღემატება განვითარებადი ქვეყნების მიერ რესურსების მოხმარების დონეს და იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, აუცილებელია ამ ქვეყნებმა ერთ სულ მოსახლეზე ნედლეულის მოხმარება შეამცირონ 10-ჯერ, რაც “ფაქტორი ათის” სახელწოდებითაა ცნობილი. “ფაქტორი ოთხი” და “ფაქტორი ათი” სტრატეგიების განხორციელება საჭიროებს “დაბადებიდან-სიკვდილამდე” მიდგომის გამოყენებას პროდუქტებისა და სერვისების ზეგავლენის შესაფასებლად, რათა გაკეთდეს გონივრული არჩევანი. ეს მიდგომა ეფუძნება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ანალიზს, რაც გულისხმობს პროდუქტის ჯამური ზემოქმედების შესფასებას მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, რაც მოიცავს ნედლეულს, წარმოებას, გამოყენებას, შესაძლო რეციკლირებასა და ხელახალ გამოყენებას, ასევე პროდუქტის საბოლოო განთავსებას. ამ სტრატეგიების განხორციელებისთვის წარმატების მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია რესურს-დამზოგავი ტექნოლოგიების შესახებ დაგროვდეს მეტი ცოდნა და გამოცდილება და მოხდეს ქვეყნების მიერ ამ ტექნოლოგიების წახალისება/ფართო გამოყენება.

მდგრადი მოხმარების დანერგვა, მდგრადი განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნეში მსოფლიოში მოხმარების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად 1998 წელს მსოფლიოში მოხმარებაში გაწეულმა დანახარჯებმა 24 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც 1975 წელთან შედარებით გაორმაგებული, ხოლო 1950 წელთან შედარებით გაექვსმამაგებული მაჩვენებელია. მოხმარება, რა თქმა უნდა, ცხოვრების აუცილებელი ნაწილია – ყველა ორგანიზმი თავისი ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნების მიზნით რაღაცას მოიხმარს. თუმცა საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან თუ როგორ ხდება მოხმარება, რა რაოდენობით და რა გავლენას ახდენს. მაგალითად, განვითარებული ქვეყნების უმეტესობის არსებული მოხმარების დონე და ფორმა არამდგრადია და ასეთი მოხმარების ზეგავლენა, როგორც გარემოს მდგრადობაზე, ასევე სოციალური კუთხით დღეს უკვე თვალსაჩინოა ადგილობრივ თუ გლობალურ დონეზე. სწორედ გადაჭარბებული და არამდგრადი მოხმარების შედეგია დაბინძურებული გარემო და საზოგადოებებს შორის გაუცხოება. გლობალური მასშტაბით კლიმატის ცვლილება და ოზონის შრის დაშლა, რაც გადაჭარბებულ მოხმარებას უკავშირდება, საკმარისია, რომ დაფიქრდეთ ჩვენი მოხმარების წესის ზემოქმედებაზე. მოხმარების დონის შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა “ეკოლოგიური ანაბეჭდის” მეთოდის გამოყენება, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი ბიოლოგიურად პროდუქტიული ფართობი (ჰექტრებში) და წყალია აუცილებელი ყველა იმ რესურსის საწარმოებლად, რასაც ჩვენ მოვიხმართ და წარმოქმნილი ნარჩენების განსათავსებლად. შესაბამისად, აუცილებელია სათანადო პოლიტიკის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი “ეკოლოგიური ანაბეჭდის” შემცირებას ისე რომ არ შეიზღუდოს მოსახლეობის კეთილდღეობა. ასეთი პოლიტიკა ასევე უნდა ითვალისწინებდეს 1 მილიარდი ღარიბი მოსახლეობის (რომელთათვისაც მიუწვდომელია სათანადო კვება, თავშესაფარი და ელემენტარული მოხმარების საგნები) ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია ყოველი ჩვენთაგანის, როგორც მომხმარებლის, როლი შეგნებული გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროა დაფიქრდეთ

რამდენად საჭიროებისამებრ ხდება ჩვენს მიერ ამათუ იმ პროდუქტისა ან სერვისის მოხმარება.

მდგრადი განვითარების მიღწევისათვის ასევე საჭიროა კორუფციისა და ამასთან პირადული სარგებლობისთვის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღმოფხვრა. კორუფციის შედეგად მთავრობის მიერ შესაძლებელია გარკვეული სფეროების წახალისება სხვა სფეროებში არსებული ვალდებულებების უგულვებელყოფის გზით, რაც შეიძლება გარემოსათვის უარყოფითი ეფექტით დამთავრდეს. ჩვენ ვმართავთ ეკონომიკას რეგულაციების, კანონებისა და წახალისების სქემების რთული სისტემით. ხშირად დამახინჯებულია სუბსიდირების სისტემა, როგორც ეკონომიკის ასევე გარემოსთვის საზიანო ეფექტის მატარებელია. მდგრადი განვითარების ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 1.5 ტრილიონი ამერიკული დოლარი იხარჯება ასეთი დამახინჯებული სუბსიდიების დაფინანსების მიზნით. ასეთი სუბსიდირების თუნდაც გარკვეულად აღმოფხვრა მნიშვნელოვანი სტიმული იქნება მდგრადი განვითარებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ აუცილებელი მთელი რიგი ცვლილებების გატარება, ისე რომ სხვადასხვა კონფლიქტურ ინტერესებს შორის მიღწეულ იქნას შეთანხმება. ამის მისაღწევად საჭიროა მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევა ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე.

რუბრიკა მომზადებულია პროექტის მიერ „ორჰუსის ცენტრი საქართველოში.“ „ჩვენი გარემოს“ რუბრიკის საშუალებით თქვენთვის საინტერესო თემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

ორჰუსის ცენტრი

თბილისი, გულუას ქ. 6 (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობა)

ტელ.: 75 24 19

ფაქსი: 75 23 90

ელ-ფოსტა: n.gvazava@aarhus.ge

ვებ-გვერდი: www.aarhus.ge